

საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრების შესახებ ლაზურში

ON HOUSEHOLD-NOVELISTIC FAIRY TALES IN LAZIAN

ციალა ნარაკიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო

Tsiala Narakidze

Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia

აბსტრაქტი

ლაზური ხალხური საზღაპრო ეპოსი ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია. ამ უძველესმა ქართველურმა ტომმა შექმნა და შემოგვინახა ზღაპრის ყველა სახეობა. სტატია ეხება საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრების განხილვას. ნაშრომი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც საკვლევ მასალად გამოყენებულია გაღმა ანუ თურქეთის რესპუბლიკაში შემავალ სოფელ სარფში მცხოვრები ლაზებისაგან ჩაწერილი ზღაპრები, რაც საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად გავაანალიზოთ საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ლაზური საზღაპრო ეპოსი. კერძოდ, საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრები, სადაც საუბარია საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეზე და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრის პერსონაჟები რეალური ადამიანები არიან და საზოგადოების თითქმის ყველა ფენას წარმოადგენენ. ზღაპრებში საუბარია იმ ზნეობრივ თუ მანკიერ თვისებებზე, რაც იმთავითვე თან სდევს ყოველ საზოგადოებას.

ლაზური ხალხური საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, როგორცაა: ცოლ-ქმრული ერთგულება და სიყვარული, რძალ-დედამთილის ურთიერთობა, ძმობა-მეგობრობა, კეთილ-გონიერული რჩევები, მანკიერ მხარეთა წარმოჩენა და სხვ.

უმნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი სარფელების (გაღმა სარფი) ისტორიულ მეხსიერებაში დღემდე ცოცხალია საყოველთაო-ნოველისტური ზღაპრები, რომლებშიც წარმოჩენილი სენტენციები ხალხური დიდაქტიკის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა.

ლაზურ ხალხურ საყოფაცხოვრებო-ნოველისტურ ზღაპრებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ხალხური ეპოქის ეს უბანიც, ზეპირსიტყვიერ სხვა ჟანრებთან ერთად, საერთოქართველურია.

საკვანძო სიტყვები: საერთოქართველური ფოლკლორი, ლაზური ზღაპრები, საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრები.

ABSTRACT

The Laz folk fairy-tale epic is remarkably rich and varied. This ancient Kartvelian tribe produced and preserved every major subtype of the fairy-tale genre. The article examines the household-novelistic tales. Its scholarly value derives from the use of research material, drawn from fairy tales, collected from the Laz inhabitants of Sarpi, a village situated within the Republic of Turkey. This corpus provides a solid basis for a comprehensive analysis of the Laz fairy-tale epic—particularly the household-novelistic type, which encompasses nearly every aspect of social life—and facilitates well-substantiated conclusions about this centuries-old narrative tradition.

The characters in the household-novelistic tale are drawn from real life and represent virtually all social strata. These tales address the moral virtues and failings that have shaped human societies since their earliest days.

The themes of Laz household-novelistic folk tales are diverse and encompass nearly every aspect of social life, including marital fidelity and love, relationships between daughters-in-law and mothers-in-law, brotherhood and friendship, the offering of prudent advice, the portrayal of moral shortcomings, and more. It is particularly significant that among the Laz people of Sarpi (on the Turkish side), who live within the Republic of Turkey, household-novelistic tales remain alive in their historical memory to this day. The moral maxims expressed in these tales represent some of the finest examples of traditional folk didacticism.

A close examination of Laz household-novelistic tales indicates that this segment of the folk tradition, together with other oral genres, forms part of the Common-Kartvelian cultural continuum.

Keywords: Common Kartvelian folklore, Laz fairy tales, household-novelistic tales.

შესავალი

როგორც ცნობილია, ხუთი საუკუნეა ლაზეთი ისლამისა და უცხო ტომთა გავლენის ქვეშ იმყოფება. ამ ხნის განმავლობაში ლაზურმა ზეპირსიტყვიერებამ, ისე როგორც ლაზურმა მეტყველებამ, თავისთავადობა შეინარჩუნა და დღემდე შემოინახა ლაზური ხალხური მრავალსაუკუნოვანი ნააზრევი და მისი ტრადიციები. ეს ნათლად ჩანს გაღმა სარფში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ლაზებისაგან ჩაწერილ ხატოვან სიტყვა-თქმებსა და ზღაპრებში, რაც საშუალებას გვაძლევს სრულყოფილად გავაანალიზოთ საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარე ლაზური საზღაპრო ეპოსი. კერძოდ,

საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრები, სადაც საუბარია ნოველის იმ პერსონაჟებზე, რომლებიც თითქმის საზოგადოების ყველა ფენას წარმოადგენენ, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან სწავლობენ და მიზნის მისაღწევად იყენებენ ჭკუასა და მოხერხებულობას.

ზღაპრებში საუბარია იმ ზნეობრივ თუ მანკიერ თვისებებზე, რაც იმთავითვე თან სდევს ყოველ საზოგადოებას.

ლაზური ზღაპრების შესწავლას საკმაო ისტორია აქვს. ამ მხრივ განსაკუთრებულია ზურაბ თანდილაშვილის ღვაწლი. მან 1970 წელს გამოსცა ლაზური ზღაპრების კრებული ქართულ ენაზე. კრებულში შეტანილია ი. ყიფშიძის, ა. ჩიქობავას, ს. ჯიქიას, ს. ჟღენტისა და გ. კარტოზიას მიერ სხვადასხვა დროს ჩაწერილი რამდენიმე ზღაპარი. აგრეთვე, მის მიერ სოფელ სარფში ჩაწერილი ზღაპრები.

1937 წელს პარიზში ფრანგმა ქართველოლოგმა ჟორჟ დუმეზილმა გამოაქვეყნა ლაზური ფოლკლორული მასალები. მასში წარმოდგენილია ძირითადად ზღაპრები და გადმოცემები. ეს ტექსტები დიდ ყურადღებას იმსახურებს არა მარტო ფოლკლორული თვალსაზრისით, არამედ ენათმეცნიერული კუთხითაც.

აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობა წარმოდგენას გვიქმნის ლაზთა ტრადიციული დამოკიდებულების შესახებ საზღაპრო ეპოსის მიმართ.

კვლევის მეთოდები

აღნიშნული კვლევიდან გამომდინარე, გამოვიყენეთ ემპირიული მასალის მოპოვებისათვის ფოლკლორში ნაცადი ყველა ხერხი, ასევე, ანალიზისა და შედარების მეთოდები.

მსჯელობა

ლაზური ხალხური საზღაპრო ეპოსი ძალზე მდიდარი და მრავალფეროვანია. ამ უძველესმა ქართველურმა ტომმა შექმნა და შემოგვინახა ზღაპრის ყველა სახეობა. მათგან ამჟამად განვიხილავთ ლაზურ საყოფაცხოვრებო-ნოველისტურ ზღაპრებს.

როგორც ლაზური ფოლკლორის მკვლევარი ზურაბ თანდილაშვილი მიუთითებს, ლაზური ზღაპრის პერსონაჟები ძირითადად ლაზეთის ყოფასთან დაკავშირებული ტრადიციული წეს-ჩვეულებების, საკუთარი ეროვნული ხასიათის მატარებლები არიან: თავიანთი მშობლიური კუთხის მთისა და ბარის რეალურ ყოფასთან მჭიდრო კავშირში მოქმედებენ; თუმცა ისინი ყოველთვის ვიწრო ტერიტორიულ ფარგლებში არ არიან ჩაკეტილნი და ამით აძლიერებენ ზღაპრის, როგორც ხალხური ნაწარმოების, კოლორიტს (თანდილაშვილი 1970: 5).

ლაზეთის მკვიდრთა საზღაპრო რეპერტუარით გამოვლენილი წეს-ჩვეულებები, იდეალები და მათი გადმოცემა, გამოხატვის თავისებურებანი არა მარტო ლაზეთისთვისაა დამახასიათებელი, არამედ ზოგადქართულია. ბუნებრივია, მათ პარალელები ეძებნებათ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში.

ლაზური ხალხური საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპრების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს, როგორცაა: ცოლ-ქმრული ერთგულება და სიყვარული, რძალ-დედამთილის ურთიერთობა, მშობა-მეგობრობა, კეთილ-გონივრული რჩევები, მანკიერ მხარეთა წარმოჩენა და სხვ.

ლაზური საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპარი „**მაფა დო ვეზირი**“ („მეფე და ვეზირი“), რომელიც დაფიქსირებულია გაღმა სარფში, მოგვითხრობს: ერთი ძმა მეფე იყო, მეორე – ვეზირი. ორივენი უშვილონი იყვნენ. ერთ დღეს ერთმა დედაბერმა მათ თითო ვაშლი მისცა და დაარიგა; ნახევარი თვითონ შეეჭამათ, ნახევარი ცოლებისთვის ეჭმიათ და შვილები გაუჩნდებოდათ. დედაბერმა გააფრთხილა ძმები: „მე რომ სიკეთე გაგიკეთეთ, არ დაივიწყოთ“.

ვეზირს ბიჭი შეეძინა, მეფეს – გოგო. ბავშვები დაიზარდნენ და ერთმანეთი შეუყვარდათ. მშობლები ქორწილის შესახებ რომ საუბრობდნენ, მხოლოდ მაშინ გაახსენდათ დედაბერი. ამ დროს ისიც იქ გაჩნდა და უსაყვედურა: თქვენ აქამდის არ გამიხსენეთ და მეც ქორწილს ჩაგიშლითო. მეფემ დედაბერი გააგდო, მან კი დაწყევლა: „თქვენმა შვილებმა ერთმანეთი გაჭირვებით ნახონო!“ და წავიდა.

მართლაც, წყვილმა დიდი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ თავიანთი სიკეთის გამო (მოხუცებულს ცხენი დაუთმეს, ყოველგვარი წინააღმდეგობა გადალახეს. თურმე ეს მოხუცი კაცი იმ დედაბრის ქმარი იყო, მაგრამ გოგო-ბიჭის სიკეთემ მოალბო და ცოლის დავალება, მათთვის ევნო, აღარ შეასრულა.

ზღაპარი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ, მართალია, თურქეთის რესპუბლიკაში შემავალი სარფის მცხოვრებნი მუსლიმები არიან, მაგრამ მათ მეხსიერებაში ჯვრის სიმბოლიკა ცოცხლობს; ბოროტ დედაბერს ჯვრის ემინია. მოხუცებული ასე ეუბნება ქალ-ვაჟს:

„– ჩემს ცოლს თქვენი კარგობა არ უნდა. მეც თქვენთან გამომგზავნა, რომ გავნოთ, მაგრამ თქვენ კარგი ბავშვები ხართ, ამიტომაც მე თქვენ ცუდს ვერ გაგიკეთებთ, ეს ჯვარი შეინახეთ, იმას უყურეთ და ისე წადით სახლშიო“.

ზღაპრის დასასრულს მთქმელი კვლავ ახსენებს ჯვარს: „ამბობენ, რომ ის ჯვარი სახლზე ჩამოკიდეს და ის დედაბერი მეტი იმ სახლში არ მისულა“.

როგორც ცნობილია, ჯვარი ქრისტიანული რწმენის მქონე ხალხში ავსულთაგან დამცავი სიმბოლოა და მისი ამ ფუნქციით გამოყენება მუსლიმანური რწმენის მქონე ლაზების ხალხურ შემოქმედებაში მათი ისტორიული მეხსიერებით უნდა აიხსნას.

საანალიზო ზღაპარი იმითაც არის საინტერესო, რომ ქართული ხალხური ზღაპრებისათვის დამახასიათებელი ტიპური დასასრული ფორმულით მთავრდება: „ციდან სამი ვაშლი ჩამოვარდა: ერთი – ვინც თქვა, ერთიც – ვინც მოისმინა, ერთიც – ამის შემდეგ ვინც უნდა გაიგოს ეს ზღაპარი“. გარდა სიუჟეტური ქარგისა, ზღაპრის ტრადიციული დასასრულიც ნათელი დასტურია იმისა, რომ თურქეთის რესპუბლიკაში მცხოვრები ლაზების კულტურას ჯერ კიდევ კვებავს არქაული ლაზური მსოფლგაგება, რაც, ბუნებრივია, მშობლიურ ფესვებთან მათ სიახლოვეზე მეტყველებს.

სოფელ სარფში 1982 წელს ჩაწერილი ხალხური ნოველა „**ხინი, ბადი დო მთუთი**“ („დედაბერი, ბერიკაცი და დათვი“) სიკეთის დაფასების პრობლემას ეხება: დაავადებული დათვი შევიდა სახლში, კერიასთან მჯდომ დედაბერსა და ბერიკაცს მიუჯდა და თან დაჩირქებულ თითს უჩვენებდა. შეეშინდათ, მაგრამ დედაბერმა მაინც აღმოუჩინა დახმარება. დათვი წავიდა. ღამით გარედან ხმაური შემოესმათ მოხუცებს, გაიხედეს და

დაინახეს, რომ დათვს თაფლით სავსე კასრი მოეტანა საჩუქრად. მოხუცებმა მალიან გაიხარეს.

ლაზური ზღაპრის მადლიერი დათვი, რომელიც ადამიანების სიკეთეს სიკეთითვე პასუხობს, არქაიკაში ტოტემი უნდა ყოფილიყო. დათვი მრავალი ხალხის რწმენა-წარმოდგენებსა და ფოლკლორულ შემოქმედებაში ადამიანთა წინაპრად, ტოტემად არის აღიარებული. ცივილიზებული ერების მითოლოგიაში დათვი საკულტო ცხოველად აღიქმება, თუმცა ქრისტიანულსა და ისლამურ ტრადიციებში დათვი გაიგივებულია ბნელ, დაუნდობელ, შურისმაძიებელ ძალასთან (სიმბოლოთა ენციკლოპედია 2006: 57). აღნიშნული ზღაპრის სახით ლაზურმა ზეპირსიტყვიერებამ უძველესი რწმენა-წარმოდგენა შემოინახა.

ლაზური ხალხური საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპარი **„ვინ შეაღებს სამოთხის კარს პირველად?“** ცოლ-ქმრის ურთიერთობას ეხება (თანდილავა 1970: 167). მწყემსის ცოლი ქმრის ნებართვის გარეშე კარსაც არავის უღებს, მდიდარის ცოლს კი მარტოოდენ ქონების მოხვეჭა და საკუთარი სიამოვნება ახსოვს.

იგი გაოცებით ეკითხება ღარიბი კაცის ცოლს:

„– ტყეში ხართ, ამდენი შეშა გაქვთ და ცეცხლი არ გინთიათ! ან კიდევ, ასე ღარიბად რატომ ხართო?“

ღარიბი ქალი პასუხობს:

„– არა ვართ ღარიბები! ამდენ მატყლს, ტყავს და სურსათს ხომ ხედავ, ეს ჩემი სიმდიდრეა. სამი ათასი ცხვარი მყავს. ყველაფერი თავზესაყრელად გვაქვს. ქმარი და შვილი ფარას მწყემსავენ და დარსა თუ ავდარში ველზე არიან, მე კი მუდამ სახლში ვარ, ოჯახს ვუვლი და ქმარ-შვილს საჭმელს არ ვაკლებ. ნუ გიკვირს, რომ ცეცხლი არ მინთია და სიცივე მაწუხებს. დაკონკილი თხელი კაბა რომ მაცვია, მეტი არაფერი. განა შეიძლება მოიძებნოს ისეთი ცოლი და დედა, რომელიც თავისი ქმრისა და შვილის ბედს არ იზიარებდეს და არ ცხოვრობდეს ისე, როგორც ისინი ცხოვრობენ? გული როგორ მომიტმენს, ქმარ-შვილი სიცივესა და გაჭირვებაში მყავდეს და მე კერასთან თბილად ვიჯდე? სადამოს, როცა დაბრუნდებიან, ცეცხლს დავანთებ და ერთად გავთბებითო!“ (თანდილავა 1970: 169).

ღარიბი კაცის ბრძენი ცოლის პასუხში ნათლად არის ასახული ოჯახისათვის თავდადებული ქალის სახე, თუმცა მდიდარი კაცის ცოლი ვერაფერს მიხვდა და დაასკვნა: „სულელი ყოფილაო!“

ზღაპრის სათაურშივე დასმული პრობლემა – **„ვინ შეაღებს სამოთხის კარს პირველად?“** – რაც გამუდმებით აინტერესებს მდიდრის ცოლს, ფაქტობრივად გადაჭრილი და პასუხგაცემულია: სამოთხის კარს ის შეაღებს პირველად, ვინც ამქვეყნად ზნეობრივი სათნოებით ცხოვრობს. სწორედ ამაზე მიაწინა ღარიბი კაცის სათნო მეუღლემ, თუმცა მდიდრის ცოლისათვის გაუგებარი დარჩა.

ლაზური ხალხური საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ზღაპარი **„დამთერე დო ნისა“** („დედამთილი და რძალი“) რძალ-დედამთილს შორის არსებული ტრადიციული ნეგატიური დამოკიდებულების ახსნას ცდილობს. ხელმწიფის ცოლი დამუნჯდა და ვეზირები შეუჩნდნენ ხელმწიფეს, დაქორწინებულიყო და ჯანმრთელი ქალი მოეყვანა ცოლად.

ხელმწიფეს ცოლი ძალიან უყვარდა და უარზე იყო, მაგრამ ცოლმა ანიშნა, რომ თანახმა იყო. ქორწილის დღეს დიდი სამზადისი დაიწყო; ხელმწიფის მუნჯი ცოლი ყველაფერს ხელმძღვანელობდა. მეფე და მისი ვაჟიშვილი კი დედოფლის მოსაყვანად წავიდნენ. მახარობელმა რომ დაიძახა, დედოფალი მოჰყავთო, მუნჯი ცოლი იმ დროს მდულარე ქვაბს ურევდა ხის კოვზით; ეწყინა ეს ამბავი და კოვზის ნაცვლად მდულარეში ჩაყო ხელი. ქალმა ტკივილისაგან დაიყვირა და გონება დაკარგა. მეფეს სულ დაავიწყდა ახალმოყვანილი ქალი და საყვარელ ცოლს თავს ევლებოდა.

ვეზირები შეშინდნენ, პატარძლის მამა გადაგვემტერება, ომს დაგვიწყებსო და მოიფიქრეს, ახალმოყვანილი დედოფალი ხელმწიფის ვაჟს შევრთოთო. ასეც მოიქცნენ, მაგრამ „დედამთილი რძალს რომ შეხედავდა, ახსენდებოდა, რომ მის ქმარს უნდა გაყოლოდა და, ამდენად, რძალი ვერ შეიყვარა, ყველაფერზე მიზეზს უძებნიდა რძალს“.

ძმობა-მეგობრობის, ურთიერთდახმარების აუცილებლობა, ადამიანთა შორის ჰუმანური დამოკიდებულება ქართული ხალხური სიტყვიერების, განსაკუთრებით კი საზღაპრო ეპოსის, ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია.

ქართული საზღაპრო ეპოსის მსგავსად, ძმობისა და მეგობრობის უძლიერესსა და უკეთილშობილეს იდეებს ლაზურმა საზღაპრო ეპოსმაც ხოტბა-დიდება შეასხა. სარფში მოპოვებული ნოველისტური ზღაპრები „**ჟურ ჯუმა**“ („ორი ყმა“) და „**ჯუმა ჯუმაშენი**“ („ძმა ძმისთვისაო“) დასტურია ამ ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანური გრძნობის, რომელიც ყოველგვარი სათნოების სათავეა.

საყოფაცხოვრებო-ნოველისტური ლაზური ზღაპარი „**ორი ძმა**“ იმეორებს ქართული ზღაპრის სიუჟეტს. აქაც უფროსი ძმა ხარბი და გაუტანელია, უმცროსი კი – კეთილი და მოყვარული; საბოლოოდ კი სიკეთე იმარჯვებს, ხარბი ძმის სიხარბესაც გამოასწორებს და სიკეთისაკენ მიმართავს. უფროსმა ძმამ დედ-მამის სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება მიითვისა, უმცროსს კი არაფერი დაუტოვა. უმცროსი ძმა თავდაუზოგავად შრომობდა და ყველას პატივისცემას იმსახურებდა. ერთ დღესაც მან გაიგო, რომ ყაჩაღებს მისი ძმის სახლი უნდა გადაეწვათ. იგი მაშინვე ძმასთან გაიქცა და გააფრთხილა, მაგრამ უფროსმა არ დაუჯერა; მაშინ უმცროსმა აკვანს დასტაცა ხელი, რძალი და ძმისწული გამოიყვანა სახლიდან. როგორც კი გამოვიდნენ, ყაჩაღებმა სახლს ცეცხლი შეუწითეს და გადაწვეს. უფროსი ძმა ყველაფერს მიხვდა და იმ დღიდან გამოსწორდა, „ხალხსაც კარგად ექცეოდა, ღარიბებს და ობლებს ეხმარებოდა, გაიგო ძმის ყადრი და ძმასთანაც ძალიან კარგად იყო“.

ზღაპრის დასასრული ამგვარი შეგონებაა: „ძმა რამდენადაც ძმისგან გულნატკენი იყოს, არავითარ შემთხვევაში ძმას არ გასწირავს“.

საყოფიერო-ნოველისტური ხასიათისაა ზღაპარი „**ძმა ძმისთვისაო**“, რომლის სათაურიცა და იდეაც შთაგონებულია ხალხური ანდაზით: „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“. აგრეთვე იგი მოგვითხრობს ძმათა სიყვარულზე, ამავე დროს ხსნის სათაურად გამოტანილი ხალხური ანდაზის სენტენციასაც.

მას შემდეგ, რაც დედ-მამისაგან დანატოვარი მთელი ქონება ძმამ ამხანაგებს შეაჭამა, გადაწყვიტა მათი გამოცდა; ტანსაცმელი შემოიხია, თავ-პირი დაისისხლიანა და კარგ ამხანაგს მიადგა:

„– რა იქნება კაცი შემომაკვდა და დამეხმარეო!“

„– ბევრი საქმე მაქვს და შენთვის არ მცალიაო“– მიუგო ამხანაგმა და ცხვირწინ კარები მიუხურა. ასე მოექცნენ სხვებიც.

ახლა უფროს ძმას მიადგა. გასისხლიანებული ძმა რომ დაინახა და ვითარება გაიგო, უთხრა:

„– დამელოდე, თოხსა და ბარს ავიღებ და შენთან ერთად წამოვალ; სანამ ვინმე გნახავს, მოკლული დავასაფლავოთო!“

ზღაპრის დასასრულს პროფესიონალი მთქმელი ამბობს:

„– ხომ ხედავ, შვილო ჩემო, არასდროს ძმა ძმას არ დაკარგავს, „ძმა ძმისთვისაო“ იმიტომ ამბობენ.

ლაზურ ზღაპარში წარმოჩენილი სახე ფუქსავატი ადამიანისა, რომელმაც მამისეული ქონება ცრუ ძმაკაცებს შეაჭამა და მათგან კი ვერაფერი თანაგრძნობა მიიღო, ქართული ხალხური საზღაპრო ეპოსის ტრადიციულ პრობლემათა რიგს განეკუთვნება.

ამგვარი პერსონაჟია ქართული ხალხური საყოფიერო ზღაპრის გმირი ოქრუა, რომელმაც ჭკუა ისწავლა, მოღალატე მეგობრები დაგმო და ახლოს არ გაიკარა (ქართული ზღაპრები, 1975: 328-333).

აღნიშნულ სიუჟეტს იცნობს მე-17 საუკუნის ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ძეგლი – სულხან-საბას „სიბრძნე-სიცრუისა“. მხედველობაში გვაქვს არაკი „დიდვაჭარის მემთვრალე მემკვიდრე“, რომელიც ანალოგიურ პრობლემებს ეხება: მამის სიკვდილის შემდეგ ლოთი და უქნარა შვილი ქონებას გაანიავენ ამხანაგებში, რომლებიც გადატაკების გამო გარიყავენ. მართალია, სულხან-საბას არაკს გაგრძელებაც აქვს – წინდახედული მამის დანატოვარი წაადგა გონს მოსულს და თავადაც „დიდებული ვაჭარი შეიქნა“, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ამ ციკლის ნოველისტური ზღაპარი, რომლის ვარიანტებსაც კარგად იცნობს საქართველოს ყველა მხარე, ფიქსირდება მე-17 საუკუნეში, რაც მის არქაულობაზე მიუთითებს. საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ „სიბრძნე-სიცრუისას“ იგავ-არეკების სიუჟეტები და მოტივები ხალხური შემოქმედების სალაროდან არის აღებული“ (სიხარულიძე 1966: 83).

გაღმა სარფში ჩაწერილი ნოველაც „პატი ნიეთი“ („ცუდი განზრახვა“) ძმათა ურთიერთობას ეხება. ოქროს მითვისების გამო ძმებმა ერთმანეთი დახოცეს. ზღაპრის დასასრული საინტერესოა. იგი კეთილგონივრული დარიგებებით მთავრდება:

ოქრომ ბევრი ადამიანი იმსხვერპლაო;

ღმერთისგან გეშინოდეთ და ცუდად არ მოიქცეთო;

ძმაზე ცუდად ნუ იფიქრებთ და ცუდი რამე არ ჩაიდინოთო;

ძმაზე ვინც ცუდს იტყვის, იმისთვის ტყვია არ დაიშუროთო;

ძმას როცა თვალეში უყურებ, კარგი თვალით შეხედო;

ხუთი თითი ხუთი ძმა არი, ერთიც არ მოიკვეთებო;

ძმასთან ერთად სიბნელეშიც კარგად გაივლი, არ შეგეშინდებაო.

1982 წელს სოფ. სარფში ჩაწერილი ლაზური ხალხური საყოფიერო-ნოველისტური ზღაპარი „**ფუკარა დო ნოსი**“ („ღარიბი და ჭკუა“) ქართულ ზეპირსიტყვიერებაში კარგად ცნობილი ზღაპრის ვარიანტია. ლაზური ზღაპრის სიუჟეტი ამგვარია: ღარიბმა კაცმა დატოვა ცოლი და ვაჟიშვილი და საშოვარზე წავიდა. ფიქრობდა, დავბრუნდები, მიწას შევიძენო. გავიდა ათი წელი. სამი ოქრო შერჩა ხელში. გაწბილებულმა სახლში დაბრუნება გადაწყვიტა, თანაც გული ეთანაღრებოდა, ფიქრობდა:

„...ბედმა არ გამიღიმა. სახლში ხელცარიელი წავიდე, ისევ ასე ღარიბად როგორ ვიცხოვრო?! ამ ფიქრებში რომ იყო, ერთი კაცი გამოეცხადა. ღარიბმა თავისი ამბავი შესჩივლა.

– ერთ მონეტას თუ მომცემ, ერთ ჭკუას გასწავლიო“, – უთხრა კაცმა.

– „მე უჭკუო არ ვარო“ – მიუგო ღარიბმა.

„უჭკუო რომ არა ხარ, მეც ვხვდები; უჭკუო ასე ღრმად არ ფიქრობს. ვხედავ, რომ ჭკვიანი ხარ, მაგრამ ყველა ჭკუა ერთ კაცს არ ექნება... მე რასაც გეტყვი, დაგჭირდებაო“ – უთხრა კაცმა.

ღარიბმა იფიქრა, „სამი მონეტით არც გავმდიდრდები, არც გავღარიბდები, აწი არაფერი დამრჩენია მეტიო“ და დათანხმდა.

სამი მონეტის საფასურად ღარიბმა სამი რჩევა მიიღო.

„– გზაზე რომ მიდიოდე, ყოველთვის შორი გზა მოიარეო“.

„– რაც არ გეხება, იმას ნუ მოიკითხავო“.

„– საქმეს კარგად თუ არ გაარკვევ, ნუ იჩქარებ, მოითმინეო“. ეს რჩევები ღარიბს ძალიან დაეხმარა: შორი გზით წავიდა და სიკვდილს გადაურჩა; ცნობისმოყვარეობა დაიოკა, უცნაურ მასპინძელს არაფერი ჰკითხა ოჯახში დანახული საკვირველი ვითარების გამო და ამით სიკვდილსაც გადაურჩა და ქონებაც შეიძინა; საკუთარ სახლთან მისულმა ფანჯრიდან დაინახა ახალგაზრდა, იეჰვიანა და გადაწყვიტა, ჯერ კაცი მოეკლა, შემდეგ ცოლი, მაგრამ გაახსენდა მესამე ოქროთი ნაყიდი ჭკუა და შეყოვნდა. ცოტა ხნის შემდეგ გაიგონა, რომ ახალგაზრდამ თავის ცოლს დედა უწოდა და შვებით ამოისუნთქა. მიხვდა, რომ ათი წლის წინ დატოვებული ბავშვი ახლა თვრამეტი წლის შესრულებულიყო. გახარებული შევიდა სახლში და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ზღაპრის ბოლოს გამოტანილი ზოგადი სენტენცია ამგვარია: „კაცი ...რამდენიც ჭკვიანიც იყო, ყველაფერი მაინც არ გეცოდინება: ვინმე რომ რამეს გასწავლის, უნდა ისწავლო. ჭკუა ყველა ნაბიჯზე საჭიროა“.

ლაზურის მსგავსად, აჭარის ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ზღაპარი „**სამი ჭკუის ყიდვა**“ (ნოღაიდელი 1972: 132) მოგვითხრობს, თუ როგორ ეწია ბედს ღარიბი კაცი, რომელმაც 16 წლის გასამრჯელო სამი ოქროს ფასად, სამ ბრძნულ დარიგებად მიიღო ხელმწიფისაგან: 1. „რაც შენი საქმე არ იქნება, იმაში ნუ ჩაერევი“; 2. „სანამ შენი თვალით არ დაინახავ, ის არ დაიჯერო“; 3. საეჭვო საქმეს ნუ დაენდობი“.

იმავე შინაარსს გადმოგვცემს ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში დაცული ზღაპარი „სამი რჩევის დარიგება“ (ბსკიფა, საქმე №7, გვ. 54).

ღარიბი კაცი ჭკვიან კაცს მოჯამაგირედ დაუდგება და შვიდი წლის გასამრჯელოდ აღებული შვიდი ოქრო სამი რჩევის საფასურად უკანვე დაუბრუნა: 1. „ღამე არ იარო, სადაც დაგიღამდება, იქ დარჩიო“; 2. „სხვის საქმეში ნუ ჩაერევიო; 3. „ყურით გაგონილი თვალითაც დაინახე და ისე დარწმუნდი; ყური და თვალი ერთი უნდა იყოსო“. ამ რჩევათა წყალობით კაცი გამდიდრდა, ბოლოს კი გაირკვა, რომ მადლიერ ბრძენს ღარიბისთვის შვიდის ნაცვლად ოცდაშვიდი ოქრო გამოეტანებინა.

მსგავსი სიუჟეტის შემცვლელია ზღაპარი „**გველის ტყავზე ამოსული ალვის ხე**“ (ქართული ზღაპრები, 1975: 37). ღარიბი გლეხი მოჯამაგირეობის ხელფასს – სამ თუმანს ამჯობინებს სამი სიბრძნის სწავლას, რომელიც მას სოვდაგარმა შესთავაზა. იგი ასე განსჯის: „მაინც ღარიბი ვარ, სამი თუმანი ხომ ვერ გამამდიდრებს, მოდი, ამ სამ თუმანს დავინანებ და სამი სიტყვა

მიტხრასო“, მართლაც, გასამრჯელოს ნაცვლად სოვდაგარმა სამი რჩევა მისცა:

1. „აქედან რომ წახვალ, რაც შენმა თვალებმა მოიწონოს, უბრალო კენჭიც კი, აიღე და შინ წამოიღე“; 2. „რასაც ვერ შეწვდები, არ წაეპოტინო“; 3. „შენი გულისპასუხი, ცოლი რა არის, იმასაც კი არ უთხრა“. ამ სიბრძნეთა წყალობით გლეხი ბედს ეწევა, თუმცა, როგორც კი დარიგების რომელიმე პუნქტს არღვევს, განსაცდელის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე.

„როგორც ლაზური, ისე საქართველოს სხვა კუთხეთა ზეპირ-სიტყვიერებაში ესოდენ პოპულარული სამი რჩევა-დარიგების სიუჟეტის შემცველი ნოველისტური ზღაპრების დედააზრი ერთია: სიბრძნეზე, ჭკუაზე დიდი განძი არაფერია. რჩევები, რომელიც ადამიანს წლობით გაწეული მძიმე შრომის ფასად ეძლევა, აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ ცოდნის, გამოცდილების, სიბრძნის შეძენა იოლი არ არის, მას ხანგრძლივი დრო და მოთმინება სჭირდება და ვინც ამ ზნეობრივ კათარზისს გაივლის, ბედნიერი ცხოვრება ელის.

რჩევა-დარიგებათა ძირითადი წყარო კი საუკუნეებგამოვლილი ჩვენი ხალხური ანდაზების სიბრძნეა: „სხვის საქმეში ნუ ჩაერევით“, „არამკითხე მოამბეო მიპერტყეს და მიაგდესო“, „შორი გზიდან მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო“ და სხვ. (ნარაკიძე... 2015: 460).

ლაზური ხალხური ნოველისტური ზღაპარი „არ ეშქიაში ამბაი“ („ერთი ყაჩაღის ამბავი“), რომელიც ჩავიწერეთ სოფელ სარფში 2007 წელს, კვლავ სიკეთე-ბოროტების ოდინდელ პრობლემას ეხება. ზღაპრის თანახმად, ერთ ყაჩაღს ოთხმოცდაცხრამეტი კაცი ჰყავდა მოკლული. ერთ საღამოს ღმერთს შეეხვეწა:

– რა იქნება დამასიზმრე, ეს ცოდვები როგორ მოვიხსნა!“

მართლაც, დაესიზმრა მოხუცი, რომელმაც უთხრა:

„– ამ და ამ ადგილას ერთი დუქანი ააშენე, ტყე გააკედე და ერთი ატმის ნერგი დარგი. ის ნერგი რომ გაიზრდება და აყვავილდება, ცოდვაც მოხსნილი გექნებაო“.

კაცი ასეც მოიქცა, მის მიერ აშენებულ დუქანში გამვლელ-გამომვლელს აპურებდა, მაგრამ ატმის ხე მაინც არ აყვავდა.

ერთ დღეს მხედარი გამოჩნდა. ყაჩაღმა მიიპატიჟა თავის დუქანში, მაგრამ უარი მიიღო. გაბრაზებულმა ყაჩაღმა მხედარი მოკლა. საგონებელში ჩავარდა ცოდვების მონანიების მსურველი ყაჩაღი: „ეს რა დამემართა, მეასე კაცი მოვკალი, ერთი ცოდვაც მომემატაო!“ ძლივს ჩაეძინა და სიზმარში კვლავ ის მოხუცი გამოეცხადა და უთხრა:

„– ნუ დარდობ, შენ ახლა ძალიან კარგი საქმე გააკეთე, რომ მოკალი, იმ კაცს შეყვარებული ბიჭი და გოგო უნდა დაეცილებინა, იმათი ქორწილის ჩაშლა უნდოდა, მაგრამ შენ კარგ საქმეს ხელი შეუწყე, ცუდი კაცი მოკალი და ყველა ცოდვა მოიხსენიო“.

ყაჩაღი წამოხტა, ფანჯრიდან გაიხედა და დაინახა, რომ ატმის ხე აყვავებულიყო. ძალიან გაუხარდა და ამის შემდეგ სულ სამადლო საქმეებს აკეთებდა.

ზღაპრის დასასრულს პროფესიონალი მთქმელი ამგვარ სენტენციას გვაძლევს: „კაცის მოკვლაზე უფრო ცუდი საქმეა ბედის, დაქორწინება-გათხოვების საქმეში კაცი რომ ჩაერევა და ჩაშლის ამ საქმეს.

ამ ზღაპრის ვარიანტებს იცნობს აჭარის ზეპირსიტყვიერებაც. ერთ-ერთი ნარატივის სახელწოდება – „ყველაზე დიდი ცოდვაა“ (ბსკიფა, საქმე

№42, გვ. 47) ლაზი მეზღაპრისეული სენტენციის გამოხატულებათ: აჭარული სიუჟეტი მსგავსია ლაზურისა, ოღონდაც მონანიე კაცისმკვლელს მომავალი წინასწარმეტყველური სიზმრით კი არ ეუწყება, არამედ ბრძენთან მივა რჩევისათვის და მისგან ეძლევა სამოქმედო გეგმა, რაც შეასრულა კიდეც.

მორიგი ცოდვის ჩადენა მონანიე კაცისმკვლელს, აჭარული ზღაპრის მიხედვითაც იმავე მიზეზით მოუხდა, რა მიზეზითაც ლაზურ ზღაპარშია მოთხრობილი.

საყოფაცხოვრებო ნოველისტური ხასიათის ზღაპარი „**ზენგინი კოჩი დო კულანი მუში**“ („მდიდარი კაცი და მისი ასული“), რომელიც ჩავიწერეთ გაღმა სარფში 2014 წელს, უარყოფითად წარმოაჩენს სასულიერო პირს – იმამს, რომელმაც, რაკი ვერ შეაცდინა, ცილი დასწამა „ხაჯობაზე“ (მუსლიმთა წმინდა ადგილების მოსალოცავად) წასული მშობლების გოგონას. „გაწმენდილი“ მამა, უკვე ხაჯად წოდებული, ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, ცილისმწამებელ იმამს დაუჯერა და ვაჟიშვილს დის მოკვლა უბრძანა. როგორც ამ ტიპის ზღაპრებისათვის არის დამახასიათებელი, მმას შეეცოდა და, თანაც დარწმუნებული იყო მის უცოდველობაში, მამას კურდღლის სისხლში ამოსვრილი დის კაბა აჩვენა და დაარწმუნა მოვკალიო.

ეს სიუჟეტი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. ამ სიუჟეტის ზღაპრის დასასრული ლაზურსა და ზოგადქართულ ვარიანტებში ფაქტობრივად იდენტურია.

საინტერესო ნოველაა „**ბედის ოსთერუ**“ („ბედის თამაში“), რომელიც ჩავიწერეთ გაღმა სარფში (თურქეთის რესპუბლიკა).

ნოველა ასე იწყება: ბედის თამაში და ნიავის ქროლვა ერთია; ამქვეყნად ყველაფერი ხდება: ღარიბი გამდიდრდება, მდიდარი გაღარიბდება, ლამაზი გაუშნოვდება, მაგრამ უშნო არ გალამაზდება.

მეფის ბრძანებით, მხატვარს უნდა დაეხატა ორი სურათი: ერთი ქვეყნად ყველაზე ლამაზი კაცისა, ხოლო მეორე სურათი უნდა ყოფილიყო ყველაზე უშნო კაცისა.

დრო მისცა ათი წელი. თუ ამ დავალებას ვერ შეასრულებდა, მეფე სიკვდილით დასჯიდა.

კაცმა ქვეყანა მოიარა და შეხვდა ძალიან ლამაზი ახალგაზრდა, მაღალი, წელწვრილი, შავი ხვეული თმებითა და ზღვისფერი თვალებით. მხატვარმა ბევრი ოქრო შესთავაზა და სთხოვა, დაეხატა მისი სურათი, ახალგაზრდა ძალიან მდიდარი იყო და არ ინდომა მხატვრის ოქრო და უარი განუცხადა. ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მხატვარმა დახატა ეს ლამაზი ყმაწვილი.

უშნო და ულამაზო კაცის ძებნა გაუჭირდა მხატვარს. გავიდა ცხრა წელიც. შეწუხებული მხატვარი იქით-აქეთ დადიოდა, ამ სიარულის დროს ერთ ადგილას რაღაცას ფეხი დაადგა და შეშინებულმა დახედა. დაინახა ძალიან უშნო კაცი, უფეხო, უხელო და ცალთვალა. გახარებულმა მხატვარმა წამოაყენა დავრდომილი, ოქრო შესთავაზა და ნება სთხოვა, რომ დაეხატა.

უშნო კაცს გაეცინა და უთხრა:

„– შენ გახსოვს, ათი წლის წინ მე ქვეყნად ყველაზე ლამაზ კაცად ჩამთვალე და დამხატეო. რაკი ისევ ჩემთან გაქვს საქმე, ამქვეყნად უშნო, როგორიცა ვარ, ისეთი დამხატეო.

მეფეს წაუღო მხატვარმა ნახატები. მეფე შეწუხდა ძალიან, როცა გაიგო, რომ ორივე ნახატზე ერთი და იგივე პიროვნება იყო. მერე კი თქვა:

„– ყველაფერი ღმერთის ხელშია. ერთ კაცს რომ რაიმე დაემართება, შეიძლება იგივე სხვასაც დაემართოს, ამქვეყნად დაზღვეული არავინააო.

ათი წლის წინ ჩემისთანა ძლიერი მეფე, ჩემისთანა სახელმწიფო მგონი არ არსებობდა, ასე მეგონაო, მაგრამ ახლა მე მოვხუცდი, ჩემი ხალხიც გაიფანტა, ჩემი სახელმწიფოც სუსტდება.

ყველამ უნდა იცოდეს, ქვეყნად ყველაფერი იცვლება და მთავრდება, მუდმივი არაფერია ამქვეყნადო. ამიტომაც უნდა თესო სიცოცხლეშივე სიკეთეო, რათა იმქვეყნად ღმერთის წინაშე პირნათლად წარსდგეო“.

დასკვნა

ლაზურ საყოფაცხოვრებო-ნოველისტურ ზღაპრებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ლაზებს შორის ბოლო დრომდე შემონახული საზღაპრო ნარატივები ფაქტობრივად იდენტური თემებისა და იდეების შემცველია; უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კი მაინც ის არის, რომ დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი სარფელების (გაღმა სარფი) ისტორიულ მესხიერებაში ბოლო დრომდე, ზეპირსიტყვიერების სხვა ჟანრებთან ერთად, ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია საყოველთაო-ნოველისტური ზღაპრები, რომლებშიც წარმოჩენილი სენტენციები ხალხური დიდაქტიკის ერთ-ერთი საუკეთესო გამოხატულებაა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

ბსკიფა: ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი.

თანდილავა 1970: თანდილავა ზ., ლაზური ზღაპრები. თბილისი, 1970.

ნარაკიძე... 2015: ნარაკიძე ც., შიოშვილი თ., სარფი. ბათუმი, 2015.

ნოღაიდელი 1972: ნოღაიდელი ჯ., ნარკვევები და ჩანაწერები, წ. II. ბათუმი, 1972.

სიმბოლოთა ენციკლოპედია 2006: სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, ტ. 1, თბილისი, 2006.

სიხარულიძე 1966: სიხარულიძე ქს., სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ხალხური წყაროები“, მონოგრაფიაში: „ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, წიგნი მეორე. თბილისი, 1966.

ქართული ზღაპრები 1975: ქართული ზღაპრები. შეადგინა და შესავალი დაურთო ალ. ლლონტმა, თბილისი, 1975. გამომც. „ნაკადული“.

References and Sources

BSKIPA: Folklore Archive of Batumi Scientific Research Institute.

Encyclopedia of Symbols 2006: Illustrated Encyclopedia of Symbols. Z. Abzianidze, K. Elashvili, Vol. 1, Tbilisi, 2006.

Georgian Tales 1975: Georgian Tales. Compiled and with an introduction by Al. Glonti. Tbilisi, 1975. Publishing House “nakaduli“.

Narakidze... 2015: Narakidze Ts., Shioshvili T., Sarpi, Batumi, 2015.

Noghaideli 1972: Noghaideli J., Essays and Notes, Book II. Batumi, 1972.

Sikharulidze 1966: Sikharulidze Ks., Folk Sources of Sul Khan-Saba Orbeliani's „The Wisdom of Lies“ in the monograph „Georgian Writers and Folk Art“, Book II. Tbilisi, 1966.

Tandilava 1970: Tandilava Z., Lazian Tales. Tbilisi, 1970.